მაისი 2017 [NO.4]
WWW.BDO.GE

# საგადასახადო მაცნე

## ცვლილება ბრძანებაში

### დღგ-ს დეკლარაცია

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 12 აპრილის N127 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში. ცვლილების თანახმად დღგ-ს დეკლარაციას დაემატა IV-VII ნაწილები. მონაცემები, რომლებიც უნდა იყოს შეტანილი ამ ნაწილებში არის შემდეგი:

IV - ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176[1]-ე მუხლის შესაბამისად საქონლის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ. შესაბამისად, ამ ნაწილში უნდა შეიტანოს ინფორმაცია საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში ან სხვა ფულადი ვალდებულების (გარდა სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული წესით დაკისრებული სანქციებისა) გადახდევინების მიზნით საქონლის აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციის და ამ ოპერაციის ფარგლებში დარიცხული დღგ-ს თანხის, ასევე „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესით სამეურვეო ქონების აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის ან სხვა წესით რეალიზაციის და ამ ოპერაციის ფარგლებში დარიცხული დღგ-ს თანხის შესახებ. სსკ-ის 176[1] მუხლის შესაბამისად, ამ ოპერაციებზე დარიცხულ დღგ-ს გადახდას უზრუნველყოფს საქონლის რეალიზაციის განმახორციელებელი პირი, ხოლო დღგ-ს დეკლარაციის ამ ნაწილს ავსებს პირი, რომელიც იძენს აღნიშნულ საქონელს.

V - საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერული) ოპერაციის შედეგად შეძენილი საქონელი/მომსახურების შესახებ ინფორმაცია. ივსება ბარტერული ოპერაციის მონაწილე პირების მიერ.

VI - საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ეს ნაწილი ივსება საფასურის გადამხდელი პირების მიერ.

VII - ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქონლის იმპორტთან ან/და საქონლის დროებით შემოტანასთან დაკავშირებით დარიცხული და გადახდილი დღგ-ს შესახებ. ამ ნაწილში მიეთითება ინფორმაცია საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების ნომრის და თარიღის შესახებ, რომლის საფუძველზეც განხორციელდა საქონლის იმპორტთან ან/და საქონლის დროებით შემოტანასთან დაკავშირებული დღგ-ის დარიცხვა. ასევე, მიეთითება საგადასახადო ორგანოს ამ გადაწყვეტილების შესაბამისად დარიცხული და ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ს თანხა. აღნიშნული ნაწილი ივსება საქონლის იმპორტის ან/და საქონლის დროებით შემოტანის განმახორციელებელი პირის მიერ.

ცვლილება ძალაშია 2017 წლის 13 აპრილიდან.

ბიდიო

ი. თარხნიშვილის 2
0179 თბილისი, საქართველო
T.: +995 32 254 58 45
T.: +995 32 218 81 88
@ bdo@bdo.ge
www.bdo.ge

ეს პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. ბიდიო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ბიდიო არის საერთო სავაჭრო სახელი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.